სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

50892269320824

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

# იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N240617323**

რეგისტრაციის თარიღი

**22.05.2024 წ**

ნოტარიუსი: ეკატერინე ძულიაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, კორპ. 7, ბინა 1ა
ტელეფონი: 599589966

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

# სანოტარო აქტი

დღეს, ორიათას ოცდაოთხი წლის ოცდაორ მაისს, მე, საქართველოს ნოტარიუსს ეკატერინე ძულიაშვილს სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვ, კორპ. 7, ბინა 1ა-ში, მომმართა მოქალაქე ნათია ლაბაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „გრადა პარკი“-ს დირექტორი და ითხოვა მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად ნათია ლაბაძემ (დაბ. 12.10.1994 წელს, მის. თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 85ა, პ№ 01017052997) მომმართა.

შევამოწმე ნათია ლაბაძის უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არის შპს „გრადა პარკი“-ს დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B23154875, ამონაწერის მომზადების თარიღი: 30.10.2023, საიდენტიფიკაციო ნომერი: 405461432.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან თავადაც წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

# მინდობილობა

შპს „გრადა პარკი“ (ს/კ 405461432) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნათია ლაბაძის (დაბ. 12.10.1994 წელს, მის. თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 85ა, პ№ 01017052997) მიერ შემდგომში „მიმნდობი პირი“, ვასილ ცომაიას (დაბ. 28.09.1985 წელს, პ№ 01025015668), შემდგომში „მინდობილი პირი“ მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

მინდობილი პირი იყოს შპს „გრადა პარკი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405461432) წარმომადგენელი ნებისმიერი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში (მერია, გამგეობა, მუნიციპალიტეტი) და მათ სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რათა შპს გრადა პარკის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით კომპანიის სახელით წარადგინოს, გამოითხოვოს, მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, ცნობა, ინფორმაცია, განცხადება, ნებართვა. კომპანიის სახელით აწარმოოს პროექტირებასთან, მშენებლობის ნებართვის მიღებასთან - გადავადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა, წარადგინოს და შეათანხმოს პროექტი, შეიტანოს ცვლილება არსებულ პროექტებში, მიიღოს ნებართვა, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს, მათ შორის განახორციელოს კომპანიის სახელით ელექტრონულად ხელმოწერა შესაბამის განცხადებაზე და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა ძალაშია ორიათას ოცდაექვსი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი მიეცა მიმნდობს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის:

1. შპს „გრადა პარკი“-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B23154875, ამონაწერის მომზადების თარიღი: 30.10.2023.

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის 30.00 ლარი თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების 31 მუხლისა + დღგ 5.40 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის № 507 დადგენილების 39 მუხლისა, სულ გადახდილია 40.40 ლარი.

მიმნდობი: ნათია ლაბაძე

ნოტარიუსი: /ეკატერინე ძულიაშვილი/

საქართველო ნოტარიუსი ეკატერინე ძულიაშვილი GEORGIA NOTARY EKATERINE DZULIASHVILI 01001003353